ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის ხელშეწყობა



განხორციელების ვადა: 02.01.2019 - 31.01.2022

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 484 961

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
World Vision, Republic of Latvia

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
facebook.com/WorldVisionInGeorgia

პროექტის ვებსაიტები: wvi.org/georgia; worldvision.ge/

პროექტის აღწერა:

ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს მთავრობას დეინსტიტუციონალიზაციის რეფორმის განხორციელებაში, რომლის შედეგადაც დაიხურა დიდი, საბჭოთა სტილის ბავშვთა დაწესებულებები და საფუძველი ჩაეყარა უფრო თანამედროვე, ბავშვის საჭიროებებზე მორგებულ მზრუნველობის მექანიზმებს. მას შემდეგ არაერთი პროექტი განხორციელდა, რათა გაუმჯობესდეს სახელმწიფო სერვისების ხარისხი.

მოცემული პროექტი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საქართველოს მთავრობას ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის განვითარებაში და ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული მომსახურებების ჩამოყალიბებაში. მის ფარგლებში ხდება არსებული ხარვეზების გამოვლენა და აღმოფხვრა, ასევე სერვისების მიწოდება, რათა მთავრობამ კიდევ უფრო მეტად შეძლოს გააძლიეროს ბავშვთა დაცვის სისტემა და მაღალი ხარისხის ალტერნატიული მზრუნველობის მეთოდები შეთავაზოს ბენეფიციარებს.

პროექტი:
- ხელს უწყობს საქართველოში გაუმჯობესებული და მდგრადი ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის სისტემის ჩამოყალიბებას ხარისხიანი ალტერნატიული მომსახურების სერვისებსა და დაცვის მექანიზმებზე ხელმისაწვდომობით
- აძლიერებს სახელმწიფოს პრევენციულ და ოჯახის მხარდაჭერის მექანიზმებს
- უზრუნველყოფს მშობლის მზრუნველობას მოკლებული ბავშვების დეინსტიტუტიონალიზაციას
- აყალიბებს მარეგულირებელ ჩარჩოებს რელიგიური დაწესებულებებისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მზრუნველობის ქვეშ მყოფი თავშესაფრებისათვის.

მოსალოდნელი შედეგები:

პროექტის ამიზნეა სოციალური მომსახურების სააგენტოს 250 სოციალური მუშაკი, 69 მუნიციპალიტეტის სოციალური
- შესაძლებელი გახდეს სოციალური მომსახურების, კანონმდებლობისა და პრაქტიკის შეფასება და დახვეწა სოციალური მუშაობის სისტემის გაძლიერებისთვის
- სოციალური მომსახურების სააგენტოს გაძლიერება და ოჯახზე დაფუძნებული ალტერნატიული მომსახურებების ხარისხის გაუმჯობესება
- სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის ინფორმაციის მიწოდება არარეგულირებადი ბავშვთა აღმზრდელობითი დაწესებულებების შესახებ და ამ დაწესებულებებში მომუშავე პერსონალის შესაძლებლობების გაზრდა
- დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის გაძლიერება და ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებების სახელმწიფო რეგულირების ჩარჩოში მოქცევა